პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი № 15 (13697) | ოთხშაბათი, 18 იანვარი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

საიუბილეო შრომითს ვახცზე

834 ტონით მეტი

წყალტუბო. (საკ. კორ.). დიად თარიღებს ღირსეულ შეხვედრას უმზადებს წყალტუბოს ჩაის ფაბრიკის (დირექტორი დ. სარიშვილი) კოლექტივი, რომელმაც მარშან მიიღო და გადაამუშავა 3.354 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 834 ტონით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

ფაბრიკამ დიდი გადაჭარბებით — 133,6 პროცენტით შეასრულა მზა პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება. უმაღლესი ხარისხის ჩაის გამოშვების გეგმა შესრულებულია 124,4 პროცენტით, პირველი ხარისხისა — 155,8 პროცენტით.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით აქ დამატებით დაზოგეს 35 ათასი მანეთი.

შრომითი დიდება

ხაშურის სავაგონო დეპოს კოლექტივმა ამ დღეებში ზეიმით აღნიშნა ვაგონების გამსინჯველების ვიქტორ კახურაშვილის და გიორგი ამანათაშვილის დაბადების 50 წლისთავი, რომლებიც 30 წელია ამ საწარმოში პატიოსნად შრომობენ, მიღებული აქვთ მრავალი ჯილდო და მადლობა, იუბილარებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.

დიდი ოქტომბრის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით დეპოში შემოღებულია შრომითი დიდების წიგნი, რომელშიც შეაქვთ მევაგონეთა კოლექტივის საპატიო წევრ-ვეტერანების სახელები. წიგნში უკვე შეტანილია 7 კაცი. პირველია ვახტანგ ქიტიაშვილი, რომელიც დეპოში მოვიდა 1931 წელს. ოსტატი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის და საპატიო ნიშნის ორდენებით, 3 მედლით, მიღებული აქვს მრავალი მადლობა და ჯილდო, სარგებლობს დიდი ავტორიტეტით, არჩეულია ადგილკომის თავმჯდომარედ.

დეპოს კოლექტივის საპატიო წევრებად წიგნში შეტანილი არიან აგრეთვე ცვლის ოსტატი დავით ჩადუნელი, ბრიგადირი სოგრატ სულეიმანაშვილი, ავტოსაკონტროლო პუნქტის ოსტატი ლუარსაბ მაღრაძე და სხვები.

დ. ფარემუზოვი.

ახალი ტექნიკა მაღაროში

ჭიათურა. ახალი ითხვისის მაღაროში დაინერგა ახალი ტექნიკა — ეგრეთწოდებული ბუნკერ-მატარებელი. ეს მექანიზმი აჩქარებს სამუშაოების მომზადებას, ზრდის მადნის სატვირთო მანქანის წარმადობას, ახანგრძლივებს მისი გამოყენების ვადას.

ბუნკერ-მატარებლის გამოყენებისას მადნის სატვირთავ მანქანას 50-100 მეტრი კაბელის ნაცვლად 10-12 მეტრი კაბელი სჭირდება. ამავე დროს აცილებულია ვაგონების ჩაკავდნა და მუშაობაც უსაშიროა.

ახალი ტექნიკის დანერგვა ხელს შეგვიწყობს კარგი მაჩვენებლებით აღვნიშნოთ ოქტომბრის დიდი თარიღი.

ზ. ჩიქვილაძე.

ჭიათურა. ახალი ითხვისის მაღაროს მუშა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

გავაფართოოთ მოძრაობა ყაირათიანობისა და მომჭირნეობისათვის

ემზადებიან რა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, რესპუბლიკის მშრომელნი ამ მზადებაში მთავარ ყურადღებას აქცევენ შეუპოვარ ბრძოლას კომუნისტური მშენებლობის გეგმების, სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებების შესრულებისათვის.

ახორციელებენ რა პარტიის XXIII ყრილობის მითითებებს წარმოების ეფექტიანობის შემდგომი გადიდების შესახებ, საქართველოს მშრომელებმა ფართოდ გაშალეს ბრძოლა მატერიალური და შრომითი რესურსების, ფულადი სახსრების ყაირათიანად და მომჭირნედ გამოყენებისათვის. რესპუბლიკაში ფართოდ გავრცელდა პატრიოტული თაოსნობა მოსკოვის და ლენინგრადის მოწინავე სამრეწველო საწარმოებისა, რომლებმაც გააჩაღეს ბრძოლა ლიტონისა და მასალების ეკონომიისათვის.

რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ მუშაობას მშრომელთა ჩასაბმელად ყაირათიანობისა და მომჭირნეობისათვის მოძრაობაში. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, სახალხო კონტროლის ორგანოთა მონაწილეობით საქართველოს მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების საწარმოებში ეწყობა ყაირათიანობისა და მომჭირნეობის მასობრივი დათვალიერებანი, რომელთა მიზანია გაძლიერდეს ბრძოლა ყოველგვარი ზედმეტობისა და უყაირათობის წინააღმდეგ, რათა გაუმჯობესდეს მუშაობა მშრომელთა აღსაზრდელად სახალხო დოვლათისადმი მზრუნველი დამოკიდებულების სულისკვეთებით.

დათვალიერების დროს მარტო თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავისა და ზესტაფონის საწარმოებმა მიიღეს 2.600-ზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება, რომელთაგან 1.256 უკვე დაინერგა წარმოებაში და მოგვცა 1.424 ათასი მანეთი სახელმწიფო სასარგებლის პირობითი წლიური ეკონომია. ორი თვის დათვალიერების შედეგად ბათუმის საწარმოებში დაზოგა 278 ათასი მანეთი, კასპის ცემენტის ქარხანაში — 90 ათასი მანეთი და ა. შ.

ამასთანავე ამ დათვალიერებებმა ცხადყო, რომ მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოებში მნიშვნელოვანი რაოდენობით არის მატერიალური, შრომითი და ფულადი დანახარჯების შემცირების გამოუყენებელი რეზერვები, რომლებიც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას უნდა მოვახმაროთ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ყაირათიანობისა და მომჭირნეობისათვის მოძრაობის აქტივიზაციას და მიიღო დადგენილება, რომლითაც დაავალა რესპუბლიკის კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში ყაირათიანობისა და მომჭირნეობისათვის მოძრაობა გაავრცელონ რესპუბლიკის ყველა საწარმოსა და ორგანიზაციაზე, სოციალისტური წარმოების ყველა უბანზე, ამასთან გამოიყენონ ამ დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო ამოცანის გადაწყვეტაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმის სხვადასხვა ფორმები და მეთოდები.

ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა პარტიული კონტროლი და ყოველდღიური ხელმძღვანელობა გაეწიოს მოძრაობას ყაირათიანობისა და მომჭირნეობისათვის, კიდევ უფრო გაძლიერდეს ბრძოლა მატერიალური და შრომითი რესურსების, აგრეთვე ფულადი სახსრების რეალური ეკონომიის მისაღწევად.

ამ მოძრაობაში ფართოდ უნდა ჩავაბათ პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სახალხო კონტროლის ორგანოები.

რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების, ჟურნალების, რადიოსა და ტელევიზიის რედაქციებს დაევალათ სისტემატურად გააშუქონ ყაირათიანობისა და მომჭირნეობისათვის რესპუბლიკის მშრომელთა ბრძოლის მიმდინარეობა. (საქდესი).

ლატვიის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

რიგა, 16 იანვარი. (საკდესი). დღეს ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში გაიმართა ლატვიის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება. კრება გახსნა ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ე. ვოსმა.

მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1966 წლის) პლენუმის შედეგების შესახებ“ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ი. პელშემ.

კრებამ ერთსულოვნად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია

კანდიდატთა დასახელება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში

საქართველოში დაიწყო კანდიდატთა დასახელება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში. კანდიდატთა დასახელება მიმდინარეობს სამრეწველო საწარმოთა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივთა კრებებზე, ხელმძღვანელი ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების სხდომებზე.

12 იანვარს გაიმართა საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელმაც განიხილა საქართველოს სსრ VII მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში პროფსაბჭოს წარმომადგენლის დასახელების საკითხი. სხდომაში მონაწილეობდნენ პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების ხელმძღვანელები და მდივნები, საქართველოს პროფსაბჭოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ დებულების 36 მუხლის შესაბამისად რესპუბლიკის პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა: საქართველოს სსრ VII მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წარმომადგენლად საქართველოს პროფსაბჭოსაგან დასახელებულ იქნას რესპუბლიკის პროფესიულ კავშირთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. შალვა დავითის-ძე კიკნაძე.

რუსთავის ქიმიური კომბინატის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კრებაზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასახელებულია რუსთავის ქიმიური კომბინატის „აპროლაქტამის“ ქარხნის ანონას საამქროს უფროსი მეაპარატე ამხ. ნინი მოსეს ასული ფიროსმანიშვილი.

თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში თავიანთ წარმომადგენლად აირჩიეს საქსოვი წარმოების ქვეოსტატი, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ამხ. ბესარიონ პეტრეს-ძე თედორაძე.

საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციისაგან ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში არჩეულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ამხ. მიხეილ ალექსანდრეს-ძე გოგიჩაიშვილი.

თბილისის საქალაქო კომუნისტური ორგანიზაციისაგან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აირჩიეს საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ოთარ ილიას-ძე ლოლაშვილი.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტიკური სამმართველოსაგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არჩეულია ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. ივანე ვლადიმერის-ძე ზაიკინი. (საქდესი).

გაზაფხული გვიხმობს

ეს დღეები მინდვრად

△ **ქარელის** რაიონის მშრომელები გონივრულად იყენებენ ზამთრის ხელსაყრელ ამინდებს. ამზადებენ ნიადაგს ხეხილისა და ვაზის გასაშენებლად. კოლმეურნეები იმარაგებენ საგაზაფხულო კულტურების თესლს.

სასახელოდ მუშაობენ მექანიზატორები. მათ ვალდებულებით წელს პირველი იანვრისათვის უნდა შეეკეთებინათ 10 ტრაქტორი, ფაქტიურად შეაკეთეს 79. ზამთრის ამ დღეებში წესრიგში მოჰყავთ სათესი მანქანები, გუთნები და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები.

△ **გეგეჭკორის** რაიონში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სიმინდის დასათესად ნიადაგის მომზადება. ჩაის პლანტაციებში მწკრივთაშორის გადაბარვა და სასუქის შეტანა. მეცხოველეობის ფერმებში კარგად იზამთრებს პირუტყვი, სარემონტო სახელოსნოში წარმოებს მუშაობა ტრაქტორების, გუთნების რემონტზე. საქსოფლტექნიკის გეგეჭკორის რაიონული განყოფილების მექანიზატორებმა შეაკეთეს 38 ტრაქტორი და ამით ხუთწლედის პირველი წლის გეგმას 14 ტრაქტორით გადააჭარბეს.

△ **სამტრედიის** რაიონის მექანიზატორებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ტრაქტორებისა და სათესი მანქანების რემონტის გასული წლის მეოთხე კვარტალის გეგმა. იანვარში მუშაობის ტემპი არ შენელებულა. სახელოსნოებში ჩქარი ტემპით მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტი, მეხილეები მუშაობენ მწკრივთაშორის ნიადაგის დამუშავებასა და სასუქის შეტანაზე.

△ **საქსოფლტექნიკის ზუგდიდის** რაიონული გაერთიანების (მმართველი ტ. წულეისკირი) სარემონტო სახელოსნოში ზეინკლები, ხარატები ყოველდღე ბეჯითად მუშაობენ გაზაფხულისათვის ამზადებენ ტექნიკას. ახალგახსნილ სახელოსნოში ნახავთ ჩაის საკრეფ მანქანებს „საქართველოს“. აქ მექანიზატორები საგულდაგულოდ სინჯავენ მანქანის ყოველივე წვრილმანს.

რსფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობა

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებით „რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ დებულების“ 36 და 37 მუხლის შესაბამისად დამტკიცდა რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობა.

კომისიის თავმჯდომარეა ვ. ი. პროხოროვი, თავმჯდომარის მოადგილე — ტ. ა. კუცენკო, მდივანი — ნ. ა. ვორონოვსკი. სულ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში შევიდა 29 კაცი. (საკდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მილიციის პოლკოვნიკის მ. გ. შურღაიას „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

ფყალდიდობის დროს ხალხისა და ქონების გადასარჩენად მუშაობის უნარიანი ორგანიზაციისა და ამასთან თავდადებული მოქმედებისათვის მილიციის პოლკოვნიკი მამია გუდუს-ძე **შურღაია** დაჯილდოვდეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1967 წლის 16 იანვარი.

ფარეულების ეაღვალი დრონე

გოსტნეული, რძე გაგრიდან

გაგრის მერძეოვეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა დიდად ეფექტიანი მეურნეობაა. აქედან ახალი ბოსტნეული და რძის პროდუქტები განუწყვეტლივ იგზავნება აფხაზეთის შავიზღვისპირეთის ქალაქებში და კურორტებზე.

საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც ვ. ძნელაძე ხელმძღვანელობს, სისტემატურად აძლიერებს წარმოების ტემპს. აქ იყენებენ ბოსტნეულის მოყვანის მოწინავე მეთოდებს, რომლებსაც საფუძვლად უდევს სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მიღწევები. ფერმებში მაჯისმაღლურად არის მექანიზებული პირუტყვის მოვლის, საკვების დრიგებისა და წველის პროცესები.

აი უკვე მეორე წელი დაამთავრა მეურნეობამ რენტაბელურად. კარგი მაჩვენებლებით აღინიშნა გასული წელი. გეგმაზე ბევრად მეტი — 10.891 ცენტნერი რძე მიიღეს მწველავებმა. სახელმწიფოს გეგმით გათვალისწინებული 9.640 ცენტნერის ნაცვლად ჩააბარეს 10,1 ათასი ცენტნერი რძე. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მოწველილია 3.460 კილოგრამი რძე.

კარგი მაჩვენებლები მოიპოვა საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ხორცის წარმოებაშიც. სახელმწიფოს გეგმით გათვალისწინებული 330 ცენტნერის ნაცვლად ჩააბარეს 420 ცენტნერი ხორცი. რაციონალური კვების შედეგად მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოზარდი ულის საშუალო სადღე�აო წონა-მატებამ 470 გრამი შეადგინა გეგმით გათვალისწინებული 411 გრამის ნაცვლად.

ეს ციფრები დამაჯერებლად მოწმობენ, რომ გაგრის მერძეოვეობა - მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეები ადგანან სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის, მაღალკალორიული საკვები პროდუქტების სიუხვის შექმნის სწორ კურსს. პირუტყვის გამოზამთრების ამ ძნელ პერიოდში ისინი ნაწველს როდი ამცირებენ, რადგანაც წინასწარ მოამზადეს საკვები ბაზა და თბილი სადგომები. ფერმებთან მიტანილია გეგმით გათვალისწინებულზე 2.000 ტონით მეტი მწვანე საკვები და 400 ტონით მეტი სილოსი.

კარგად აქვთ საქმეები საბჭოთა მეურნეობის მებოსტნეებსაც. მათ შარშან 4.270 ცენტნერი ბოსტნეული ჩააბარეს და ახლაც უგზავნიან ომმხმარებელს პროდუქციას.

დადგა რა საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, გაგრის მერძეოვეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა გაიჩაღა შეჯიბრება საიუბილეო წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. (საქდესი).

ერწოს, ამბრეთის, გვირგვინას, ლაბანის, ისაკეკუს და მთის სხვა სოფლების კოლმეურნეთა სახლებში ილიჩის ნათურები ანთთ. ჯავისა და ზნაურის რაიონების ცხრა სოფელმა მიიღო დენი ახალ, საიუბილეო წელს. მონტაჟზე კარგად იმუშავეს ელექტრომონტაჟეთა იმ ბრიგადის წევრებმა, რომელსაც ბესიკ თეთრაული ხელმძღვანელობს.

სურათზე: ელექტრომონტაჟეთა ბრიგადირი ბ. თეთრაული (მარჯვნივ) და ელექტრომონტიორი რ. ვეკუა ამონტაჟებენ ტრანსფორმატორს ჯავის რაიონის სოფელ მსხლეთში.

ფოტო ვ. უბოფენკოსი. (საქლესის ფოტოკორესპ.).

ახალი მანქანები

ბათუმი. (საკ. კორ.). აქ მანქანათსაშენებლო ქარხნის ექსპერიმენტულ საამქროში იწყობა ავტომატური ხაზი, რომელიც სამი მანქანა-ავტომატისაგან შედგება. იგი ქიმიური მრეწველობის საწარმოებისათვის არის გათვალისწინებული. იქვე მზადდება ხის მშრალი მერქნის ფოსა და ზეთში ასარეცი ლა ნაზავისაგან ავეჯის ფილების დასამზადებელი მანქანა, იგი ავტომატური ციკლით იმუშავებს.

ამერიკის სენატში

ვაშინგტონი, 17 იანვარი. (საკდესი). სენატის საგარეო საქმეთა კომისია შეეცდება ამერიკის შეერთებული შტატების საგარეოპოლიტიკური პრობლემების განხილვას. პირველ სხდომაზე, რომელიც დახურულ დარბაზში მიმდინარეობდა, გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი რასკი.

სხდომის დამთავრების შემდეგ რასკმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მან ფართოდ მიმოხილა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა ვიეტნამისა და მსოფლიოს სხვა რაიონების მიმართ. საქალმწიფო მდივანი ცდილობდა გაემართლებინა მთავრობის საკიეტნამო პოლიტიკა და გაიმეორა ამერიკის პროპაგანდის ჩვეულებრივი მტკიცებანი, თითქოს ჩრდილოეთ ვიეტნამი ძალით აპირებდეს სამხრეთ ვიეტნამის დაპყრობას.

რასკმა პრესის წარმომადგენლებს აგრეთვე განუცხადა, რომ კომისიის წევრებს გააცნო ტაილანდსა და შუა აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობა.

საქალმწიფო მდივანმა კორესპონდენტებს უთხრა, რომ შეერთებულმა შტატებმა უნდა განაგრძონ ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვა, ამავე დროს, როგორც მისი სიტყვებიდან ჩანს, ამერიკელი დიპლომატები კვლავ ეცდებიან გამოარკვიონ, თუ როგორია ომის შესაძლებლობანი, რომ დაბომბვის შეწყვეტას მშვიდობა მოჰყვეს.

ინდოეთ-პაკისტანი

ტაშკენტი, 17 იანვარი. (საკდესი). ინდოეთ-პაკისტანის ურთიერთობათა ნორმალიზაციის საკითხებზე ტაშკენტში ინდოეთ-პაკისტანის მოლაპარაკებებზე ინდოეთის ელჩ ტ. ნ. კაულმა ინდოეთ-პაკისტანის ურთიერთობათა ნორმალიზაციის საკითხებზე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შესახებ

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 28-ე მუხლისა და „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 25-ე და 26-ე მუხლების საფუძველზე შეიქმნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შემდეგი საარჩევნო ოლქები:

ქალაქი თბილისი

ლენინის რაიონი

1. **აეჯალის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ულიანოვის ქ. № 17, ფოლადთუჭსამსხმელო ქარხნის სამმართველო).

საზღვრები: ზაჰესის ხევის მარცხენა მხარე ულიანოვის ქუჩიდან მტკვრამდე, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირი ზაჰესის ხევიდან მდინარე გლდანულამდე, მდინარე გლდანულის მარჯვენა ნაპირი მდინარე მტკვრიდან ქალაქის საზღვრამდე, ქალაქის საზღვრის მარცხენა მხარე მდინარე გლდანულიდან ულიანოვის ქუჩამდე.

2. **საქართველო საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — აეჯალის გზატკეცილი № 84, ე. ი. ლენინის სახელობის ელექტროსამშენებლო ქარხნის სამმართველო)

საზღვრები: მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირი მდინარე გლდანულიდან კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტების ფაბრიკის ტერიტორიისა და ხევძმარის მარცხენა ხაპირის ჩათვლით აეჯალის გზატკეცილამდე, აეჯალის გზატკეცილის კენტი ნომრები ხევძმარიდან ქალაქის საზღვრამდე თბილისის ელექტროსამშენებლო ქარხნის დასახლების მე-10, მე-10-ბ კვარტალები მთლიანად და მე-9 კვარტალის №№ 12, 13, 14, 15, 16, 18, 20, 22, 22-ბ კორპუსების ჩათვლით, ქალაქის საზღვრის მარცხენა მხარე ელექტროსამშენებლო ქარხნის დასახლებიდან მდინარე გლდანულამდე, მდინარე გლდანულის მარცხენა ნაპირი ქალაქის საზღვრიდან მდინარე მტკვრამდე.

3. **ლრმადელის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — აეჯალის გზატკეცილი № 29, 114-ე საშუალო სკოლა)

საზღვრები: მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირი ხევძმარიდან ქსნის ქუჩამდე, ქსნის ქუჩის კენტი ნომრები მდინარე მტკვრიდან აეჯალის გზატკეცილამდე, აეჯალის გზატკეცილის ლუწი ნომრები ქსნის ქუჩიდან გუდამაყრის ქუჩამდე, გუდამაყრის ქუჩის ლუწი ნომრები აეჯალის გზატკეცილიდან მე-60 ქუჩამდე, მე-60 ქუჩის მარცხენა მხარე გუდამაყრის ქუჩიდან უსახელო ხევამდე, უსახელო ხევის მარცხენა მხარე მე-60 ქუჩიდან ქალაქის საზღვრამდე, ქალაქის საზღვრის მარცხენა მხარე უსახელო ხევიდან №№ 17, 19, 21 ფორპუსების ჩათვლით აეჯალის გზატკეცილამდე, აეჯალის გზატკეცილის ლუწი ნომრები ხევძმარამდე, ხევძმარის მარცხენა მხარე აეჯალის გზატკეცილიდან მდინარე მტკვრამდე.

4. **ედანოვის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ჩარგლისელის ქ. № 24, 132-ე საშუალო სკოლა)

საზღვრები: მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირი ქსნის ფეხიდან ზიგზაგის ხევამდე, ზიგზაგის ხევის მარცხენა მხარე მდინარე მტკვრიდან ქალაქის საზღვრამდე, ქალაქის საზღვრის მარცხენა მხარე ზიგზაგის ხევიდან უსახელო ხევამდე, უსახელო ხევის მარცხენა მხარე ქალაქის საზღვრიდან მე-60 ქუჩამდე, მე-60 ქუჩის მარცხენა მხარე უსახელო ხევიდან გუდამაყრის ქუჩამდე, გუდამაყრის ქუჩის კენტი ნომრები მე-60 ქუჩიდან აეჯალის გზატკეცილამდე, აეჯალის გზატკეცილის კენტი ნომრები — გუდამაყრის ქუჩიდან ქსნის ქუჩამდე, ქსნის ქუჩის ლუწი ნომრები აეჯალის გზატკეცილიდან მდინარე მტკვრამდე.

5. **პიონერის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — აეჯალის გზატკეცილი № 6, პლატმასის ქარხნის სამმართველო)

საზღვრები: მდინარე მტკვრის ნაპირი ზიგზაგის ხევიდან მოლითის ქუჩამდე, მოლითის ქუჩის მარცხენა მხარე მაგნიტოგორსკის ჩიხამდე, მაგნიტოგორსკის ჩიხის ლუწი ნომრები მოლითის ქუჩიდან მაგნიტოგორსკის ქუჩამდე, მაგნიტოგორსკის ქუჩის კენტი ნომრები მაგნიტოგორსკის ჩიხიდან ხუთწლეულის ქუჩამდე, ხუთწლეულის ქუჩის კენტი ნომრები მაგნიტოგორსკის ქუჩიდან ნათაძის ქუჩამდე, ნათაძის ქუჩის კენტი ნომრები ხუთწლეულის ქუჩიდან ბაგინეთის ქუჩამდე, ბაგინეთის ქუჩის ლუწი ნომრები ნათაძის ქუჩიდან წიწამურის ქუჩამდე, წიწამურის ქუჩის ლუწი ნომრები ბაგინეთის ქუჩიდან ოქტომბრის ქუჩამდე, ოქტომბრის ქუჩის ლუწი ნომრები წიწამურის ქუჩიდან ფრმაღელის ქუჩამდე, ფრმაღელის ქუჩის ლუწი ნომრები ოქტომბრის ქუჩიდან დაისის ქუჩამდე, დაისის ქუჩის ლუწი ნომრები ფრმაღელის ქუჩიდან დაისის 1-ლ შესახვევამდე, დაისის 1 შესახვევის ლუწი ნომრები დაისის ქუჩიდან ქალაქის საზღვრამდე, ქალაქის საზღვრის მარცხენა მხარე დაისის 1 შესახვევიდან ზიგზაგის ხევამდე, ზიგზაგის ხევის მარცხენა მხარე ქალაქის საზღვრიდან მდინარე მტკვრამდე.

6. **თბილისის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ოქტომბრის ქ. № 160, მე-11 საშუალო სკოლა)

საზღვრები: ოქტომბრის ქუჩის კენტი ნომრები ფრმაღელის ქუჩიდან ელმავლის ქუჩამდე, ელმავლის ქუჩის ლუწი ნომრები ოქტომბრის ქუჩიდან ინდუსტრიალიზაციის ქუჩამდე. ინდუსტრიალიზაციის ქუჩის ლუწი ნომრები ელმავლის ქუჩიდან კოლექტივიზაციის ქუჩამდე, კოლექტივიზაციის ქუჩის 1 გასასვლელამდე, კოლექტივიზაციის ქუჩის 1 გასასვლელის ლუწი ნომრები ინდუსტრიალიზაციის ქუჩიდან ოქტომბრის ქუჩამდე, ოქტომბრის ქუჩის ლუწი ნომრები კოლექტივიზაციის ქუჩიდან ლომთათიძის ქუჩამდე, კოლექტივიზაციის 1 გასასვლელის კენტი ნომრები ლომთათიძის ქუჩიდან კოლექტივიზაციის ქუჩამდე, კოლექტივიზაციის ქუჩის კენტი ნომრები კოლექტივიზაციის ქუჩის 1 გასასვლელიდან ინდუსტრიალიზაციის ქუჩამდე, ინდუსტრიალიზაციის ქუჩის კენტი ნომრები კოლექტივიზაციის ქუჩიდან ელმავლის ქუჩამდე, ელმავლის ქუჩის კენტი ნომრები ინდუსტრიალიზაციის ქუჩიდან ოქტომბრის ქუჩამდე, ოქტომბრის ქუჩის კენტი ნომრები ელმავლის ქუჩიდან წიწამურის ქუჩამდე, წიწამურის ქუჩის კენტი ნომრები ოქტომბრის ქუჩიდან ბაგინეთის ქუჩამდე, ბაგინეთის ქუჩის კენტი ნომრები წიწამურის ქუჩიდან ნათაძის ქუჩამდე, ნათაძის ქუჩის კენტი ნომრები ბაგინეთის ქუჩიდან ხუთწლეულის ქუჩამდე, ხუთწლეულის ქუჩის ლუწი ნომრები ნათაძის ქუჩიდან მაგნიტოგორსკის ქუჩამდე, მაგნიტოგორსკის ქუჩის ლუწი ნომრები ხუთწლეულის ქუჩიდან მაგნიტოგორსკის ჩიხამდე, მაგნიტოგორსკის ჩიხის კენტი ნომრები მაგნიტოგორსკის ქუჩიდან ლოლითის ქუჩამდე, მოლითის ქუჩის მარჯვენა მხარე მაგნიტოგორსკის ჩიხიდან რკინიგზის ლიანდაგამდე.

8. **ლენინის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — საკაკაძის ქ. № 29, მე-9 საშუალო სკოლა)

საზღვრები: რკინიგზის ლიანდაგის მარცხენა მხარე ობილისობობის ტერიტორიიდან კაკთისხევის ქუჩამდე, კაკთისხევის ქუჩის ლუწი ნომრები რკინიგზის ლიანდაგიდან ოქტომბრის ქუჩამდე, ოქტომბრის ქუჩის კენტი ნომრები თოფურიძის ქუჩამდე, თოფურიძის ქუჩის კენტი ნომრები ოქტომბრის ქუჩიდან თოფურიძის ქუჩის 1 შესახვევამდე, თოფურიძის ქუჩის შესახვევის ლუწი ნომრები თოფურიძის ქუჩიდან საკაკაძის ქუჩამდე, საკაკაძის ქუჩის კენტი ნომრები თოფურიძის ქუჩის 1 შესახვევიდან გუბის ქუჩამდე, გუბის ქუჩის ლუწი ნომრები საკაკაძის ქუჩიდან გომარეთის ქუჩამდე, გომარეთის ქუჩის № 10 სახლის ჩათვლით ყოფილი სანერგე მეურნეობის გავლით ბენდელიანის ზემო დასახლებამდე, ბენდელიანის ზემო დასახლების მარცხენა მხარე გეგუთის ქუჩის დასაწყისის გავლით ქალაქის საზღვრამდე, ქალაქის საზღვრის მარცხენა მხარე გეგუთის ქუჩის დასაწყისიდან ჯავის ქუჩის მე-4 შესახვევამდე, ჯავის ქუჩის მე-4 შესახვევის კენტი ნომრები ქალაქის საზღვრიდან ჯავის ქუჩამდე, ჯავის ქუჩის კენტი ნომრები ჯავის მე-4 შესახვევიდან საკაკაძის ქუჩამდე, ჯავის ქუჩის კენტი ნომრები ჯავის ქუჩიდან ბენდელიანის ქუჩამდე, ბენდელიანის ქუჩის კენტი ნომრები საკაკაძის ქუჩიდან ტრაქტორის ქუჩამდე, ტრაქტორის ქუჩის კენტი ნომრები ბენდელიანის ქუჩიდან ზესტაფონის ქუჩამდე, ზესტაფონის ქუჩის ლუწი ნომრები ტრაქტორის ქუჩიდან ხუთწლეულის ქუჩამდე, ხუთწლეულის ქუჩის ლუწი ნომრები ზესტაფონის ქუჩიდან წიწამურის ქუჩამდე, თბილგაზპარატის, ტრიკოტაჟის, ყოფილი თბილსათბობის ტერიტორიის მარცხენა მხარე წიწამურის ქუჩიდან რკინიგზის ლიანდაგამდე.

9. **რკინიგზის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ოქტომბრის ქ. № 29, პლეხანოვის სახელობის კლუბი).

საზღვრები: რკინიგზის ლიანდაგი კავთისხევის ქუჩიდან ასკურავას ქუჩამდე, ასკურავას ქუჩის ლუწი ნომრები რკინიგზის ლიანდაგიდან ოქტომბრის ქუჩამდე, ოქტომბრის ქუჩის ლუწი ნომრები ასკურავას ქუჩიდან ჩოდრიშვილის ქუჩამდე, ჩოდრიშვილის ქუჩის ლუწი ნომრები ოქტომბრის ქუჩიდან ჩხიკვაძის ქუჩამდე, ჩხიკვაძის ქუჩის კენტი ნომრები ჩოდრიშვილის ქუჩიდან ქებურიას ქუჩამდე, ქებურიას ქუჩის ლუწი ნომრები ჩხიკვაძის ქუჩიდან ჩოდრიშვილის შესახვევამდე, ჩოდრიშვილის შესახვევის ლუწი ნომრები ქებურიას ქუჩიდან ლოტკინის ქუჩამდე, ლოტკინის ქუჩის კენტი ნომრები ჩოდრიშვილის ქუჩიდან კურნატოვსკის ქუჩამდე, კურნატოვსკის ქუჩის ლუწი ნომრები ლოტკინის ქუჩიდან ლიანოვის ქუჩამდე, ლიანოვის ქუჩის კენტი ნომრები კურნატოვსკის ქუჩიდან ბაგინეთის ქუჩამდე, ბაგინეთის ქუჩის კენტი ნომრები ლიანოვის ქუჩიდან ნათაძის ქუჩამდე, ნათაძის ქუჩის ლუწი ნომრები ბაგინეთის ქუჩიდან ბუხუროვის ქუჩამდე, ბუხუროვის ქუჩის ლუწი ნომრები ნათაძის ქუჩიდან მაგნიტოგორსკის ქუჩამდე, მაგნიტოგორსკის ქუჩის ლუწი ნომრები ბუხუროვის ქუჩიდან მაგნიტოგორსკის ჩიხამდე, მაგნიტოგორსკის ჩიხის კენტი ნომრები მაგნიტოგორსკის ქუჩიდან ლოლითის ქუჩამდე, ლოლითის ქუჩის მარჯვენა მხარე მაგნიტოგორსკის ჩიხიდან რკინიგზის ლიანდაგამდე.

10. **კომკავშირის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ოქტომბრის ქ. № 19, მე-4 საშუალო სკოლა)

საზღვრები: რკინიგზის ლიანდაგი — ასკურავას ქუჩიდან ხუდადოვის ქუჩამდე, ხუდადოვის ქუჩის ლუწი ნომრები რკინიგზის ლიანდაგიდან ქალაქის საზღვრამდე, ქალაქის საზღვრის მარცხენა მხარე ხუდადოვის ქუჩიდან უიარაღოს ქუჩამდე, უიარაღოს ქუჩის კენტი ნომრები ქალაქის საზღვრიდან კახიანის ქუჩამდე, კახიანის ქუჩის კენტი ნომრები უიარაღოს ქუჩიდან ლოტკინის ქუჩამდე, ლოტკინის ქუჩის კენტი ნომრები კახიანის ქუჩიდან ჩოდრიშვილის 1-ლ შესახვევამდე, ჩოდრიშვილის 1 შესახვევის ლუწი ნომრები ლოტკინის ქუჩიდან ქებურიას ქუჩამდე, ქებურიას ქუჩის კენტი ნომრები ჩოდრიშვილის შესახვევიდან ჩხიკვაძის ქუჩამდე, ჩხიკვაძის ქუჩის ლუწი ნომრები ქებურიას ქუჩიდან ჩოდრიშვილის ქუჩამდე, ჩოდრიშვილის ქუჩის ლუწი ნომრები ჩხიკვაძის ქუჩიდან ასკურავას ქუჩამდე, ასკურავას ქუჩის კენტი ნომრები ოქტომბრის ქუჩიდან რკინიგზის ლიანდაგამდე.

11. **კუიბიშევის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ხუდადოვის ქ. № 65, მე-5 საშუალო სკოლა)

საზღვრები: ოქტომბრის ქუჩის კენტი ნომრები ხუდადოვის ქუჩიდან მამრაძის ხევამდე, მამრაძის ხევის კენტი ნომრები ოქტომბრის ქუჩიდან ქალაქის საზღვრამდე, ქალაქის საზღვრის მარცხენა მხარე მამრაძის ხევიდან ხუდადოვის ქუჩამდე, ხუდადოვის ქუჩის კენტი ნომრები ქალაქის საზღვრიდან ოქტომბრის ქუჩამდე.

12. **ლოტკინის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ლოტკინის ქ. № 38, მე-7 საშუალო სკოლა)

საზღვრები: ლიკანის ქუჩის კენტი ნომრები გუბის ქუჩიდან ჯურნატოვსკის ქუჩამდე, ლოტკინის ქუჩის ლუწი ნომრები კურნატოვსკის ქუჩიდან კახიანის ქუჩამდე, კახიანის ქუჩის ლუწი ნომრები ლოტკინის ქუჩიდან უიარაღოს ქუჩამდე, უიარაღოს ქუჩის ლუწი ნომრები ქალაქის საზღვრამდე, ქალაქის საზღვრის მარცხენა მხარე უიარაღოს ქუჩიდან ჩოდრიშვილის ხევამდე, ჩოდრიშვილის ხევის მარცხენა მხარე ქალაქის საზღვრიდან პროლეტარის ქუჩის გადაკვეთით კონდოლის ქუჩამდე, კონდოლის ქუჩის კენტი ნომრები პროლეტარის ქუჩიდან ლოტკინის ქუჩამდე, ლოტკინის ქუჩის კენტი ნომრები კონდოლის ქუჩიდან კაკრეთის ქუჩამდე, კაკრეთის ქუჩის კენტი ნომრები ლოტკინის ქუჩიდან პიონერის ქუჩამდე, პიონერის ქუჩის მარცხენა მხარე კაკრეთის ქუჩიდან ზიარის ქუჩამდე, ზიარის ქუჩის კენტი ნომრები პიონერის ქუჩიდან ახტალის ქუჩამდე, ახტალის ქუჩის ლუწი ნომრები ზიარის ქუჩიდან ავიაქიმის ქუჩამდე, ავიაქიმის ქუჩიდან გომარეთის ქუჩის დასაწყისამდე, გუბის ქუჩის კენტი ნომრები გომარეთის ქუჩის დასაწყისიდან ლიკანის ქუჩამდე.

13. **ბენდელიანის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ინტერნატის ქ. № 1, № 1 სკოლა-ინტერნატი)

საზღვრები: კაკრეთის ქუჩის ლუწი ნომრები პიონერის ქუჩიდან ლოტკინის ქუჩამდე, ლოტკინის ქუჩის ლუწი ნომრები კაკრეთის ქუჩიდან კონდოლის ქუჩამდე, კონდოლის ქუჩის ლუწი ნომრები ლოტკინის ქუჩიდან პროლეტარის ქუჩის გადაკვეთით ჩოდრიშვილის ხევამდე, ჩოდრიშვილის ხევის მარცხენა მხარე ქალაქის საზღვრიდან პროლეტარის ქუჩის გადაკვეთით ლენინის ქუჩამდე, ლენინის ქუჩის ლუწი ნომრები ბენდელიანის ზემო დასახლებამდე, ბენდელიანის ზემო დასახლება — გეგუთის ქუჩიდან ახტალის ქუჩამდე, ახტალის ქუჩის კენტი ნომრები ავიაქიმის ქუჩიდან ზიარის ქუჩამდე, ზიარის ქუჩის ლუწი ნომრები ახტალის ქუჩიდან პიონერის ქუჩამდე, პიონერის ქუჩის მარჯვენა მხარე ზიარის ქუჩიდან კაკრეთის ქუჩამდე.

პირველი მაისის რაიონი

14. **დიდმის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — მასივის მე-4 კვარტალი, 30-ე საშუალო სკოლა)

საზღვრები: დიდმის ხიდიდან მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით მდინარე დიდმულამდე, მდინარე დიდმულის გაყოლებით სამხედრო გზამდე, მდინარე დიდმულიდან სამხედრო გზის მარჯვენა მხარის გაყოლებით დიდმის სანერგემდე, დიდმის სანერგიდან მდინარე მტკვრამდე, მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით დიდმის ხიდამდე.

15. **დიდუბის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — აკაკი წერეთლის პრ. № 140, თბილისის კამეოლ-მაუდის კომბინატის კლუბი)

საზღვრები: სადგურ დიდუბიდან მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირის გაყოლებით ხომრურულის ქუჩამდე, ხომრურულის ქუჩის კენტი ნომრები მდინარე მტკვრიდან აკაკი წერეთლის პროსპექტამდე, აკაკი წერეთლის პროსპექტი მე-10 კორპუსიდან № 144-მდე (ჩათვლით) და № 69-დან № 149-მდე (ჩათვლით), ვანის ქუჩის მარცხენა მხარე აკაკი წერეთლის პროსპექტიდან რკინიგზის ხაზამდე, რკინიგზის ხაზი ვანის ქუჩიდან სადგურ დიდუბემდე.

16. **ქუთაისის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — აკაკი წერეთლის პრ. № 42, მე-2 გაბარეძლეგებული დღის სკოლა)

საზღვრები: ვანის ქუჩის მარჯვენა მხარე რკინიგზის ხაზიდან აკაკი წერეთლის პროსპექტი № 32-დან მე-9 კორპუსის ჩათვლით და № 33-დან № 67-ის ჩათვლით. ხომრურულის ქუჩის ლუწი ნომრები მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპირო, ხომრურულის ქუჩიდან ქუთაისის ქუჩამდე, ქუთაისის ქუჩის ლუწი ნომრები მთლიანად და № 11-დან № 25-ის ჩათვლით. ვახუშტი ბაგრატიონის ქ. № 10-დან № 22-მდე და № 52-დან № 70-ის ჩათვლით, ქუთაისის შესახვევი მთლიანად, ორჯონიკიძის ქუჩა № 121-ე ალბოკვის ქუჩამდე და № 116-დან № 140-ის ჩათვლით, რკინიგზის ხაზი ვანის ქუჩიდან ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩამდე.

17. **ტელმანის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — მაიაკოვსკის ქ. № 6, ყრუ-მუნჯთა საზოგადოების კულტურის სახლი)

საზღვრები: შ. ელიავას ქუჩა № 15-დან 29-მდე და № 6-დან № 18-ის ჩათვლით, ქუთაისის ქ. № 1-დან № 9-მდე და № 27-დან № 35-ის ჩათვლით, ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩა № 2-დან № 8-მდე, № 24-დან № 50-მდე და № 72-დან № 82-ის ჩათვლით, ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩის კენტი ნომრები მთლიანად, დიდუბის ქუჩა № 2-დან № 8-მდე და № 1-დან № 7-ის ჩათვლით აკ. წერეთლის პროსპექტი № 16-დან № 30-მდე და № 19-დან № 31-ის ჩათვლით, ბათუმის ქუჩა № 1-დან № 31-ის ჩათვლით, და № 2-დან № 20-ის ჩათვლით. გორის ქუჩა № 5-დან № 27-მდე და № 8-დან № 34-ის ჩათვლით, გორის შესახვევი № 2-დან № 14-მდე, ჯორნინის ქ. № 17-დან № 23-მდე, ჯორნინის შესახვევი № 3-დან № 13-მდე და № 2-დან № 14-ის ჩათვლით, ორჯონიკიძის ქუჩა № 94-დან № 114-მდე და № 105-ა-დან № 119-ის ჩათვლით, ორჯონიკიძის ჩიხი, ბათუმის შესახვევი და ფოთის ქუჩა მთლიანად, რკინიგზის ხაზი გორის ქუჩიდან ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩამდე.

18. **პირველი მაისის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ტელმანის ქ. № 8, ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველო)

საზღვრები: რკინიგზის ხაზი სადგურის მოედნიდან გორის ქუჩამდე, ორჯონიკიძის ქუჩა № 74-დან № 92-მდე და № 85-დან № 105-ის ჩათვლით და № 1-დან № 15-ის ჩათვლით და №№ 25, 27, გორის შესახვევი № 1-დან № 7-ის ჩათვლით, გორის ქუჩის № № 1, 2, 3, 4, 6, კლარა ცეტკინის ქუჩა № 135-დან № 136-ა-ს ჩათვლით, და № 192-დან № 200-ის ჩათვლით, აკ. წერეთლის პროსპექტი № 2-დან № 14-მდე და № 1-დან № 17-ის ჩათვლით, ტელმანის, საგურამოს, მაიაკოვსკის, გლდანის და კოოპერაციის ქუჩები მთლიანად, პლეხანოვის პროსპექტი № 189-დან № 197-ის ჩათვლით და № 174-დან № 184-ა-ს ჩათვლით, შ. ელიავას ქუჩა № 3-დან № 13-ის ჩათვლით, ბათუმის ქუჩა № 22-დან № 46-ის ჩათვლით.

19. **ჩელიუსკინელების საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — კამოს ქ. № 70, მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი)

